ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 4

28.05.2019

დღის წესრიგი:

1. თვითშეფასების შევსებული კითხვარების შესახებ ინფორმაცია;
2. ერაზმუსის კომისიების შერჩევის საკითხი;
3. დოქტორანტების ა. ტიკარაძის და თ. გველესიანის დაცვის კომისიებისა და დისერტაციის შემფასებლების დამტკიცება;
4. დოქტორანტ ნ . აბულაძის სადისერტაციო თემის სათაურის დამტკიცება
5. ფაკულტეტის სადოქტორო დებულების საბოლოო ვერსიის დამტკიცება
6. იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნების ჰონორარის საკითხი;
7. კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების დამდგენელი კომისიის ანგარიშის მოსმენა (კომისიის კოორდინატორი, გ. გოროშიძე);
8. დოქტორანტ ქ. ხუსკივაძის დისერტაციის რედაქტირებული სათაურის დამტკიცება - „ესპანური ენის სწავლების საკითხები უმაღლეს სკოლაში (თსუ-ს მაგალითზე);
9. ასოც. პროფესორის გ. გოროშიძის მიერ განსახილველად წარმოდგენილი საკითხები
10. სხვა: დოქტორანტების საუნივერსიტეტო დაფინანსების საკონკურსო საბუთების მიღების საკითხი

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, გიორგი გოროშიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, მედეა დესპოტაშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ნინო ლაბარტყვა.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ეთერ ღვინერია, იზაბელა პეტრიაშვილი.

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ანა კვირიკაშვილი, მარიამ ხოშტარია, მარიამ ბექაური, ირაკლი ხაბულიანი, ელენე ბერაძე, დიანა ზვიადაძე, მარინა ბორჩაშვილი.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრებოდა 22 **წევრი**

განიხილეს:

1. **თვითშეფასების შევსებული კითხვარების საკითხი**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ წარმოადგინა პროფესორ-მასწავლებლების მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარები. 2018 წელს აკადემიურმა საბჭომ დაჩქარებული წესით მიიღო დადგენილება თვითშეფასების კითხვართან დაკავშირებით. ჩვენი ფაკულტეტის მიერ წარდგენილი გარკვეული შენიშვნები გაითვალისწინეს, მაგრამ ყველა შენიშვნა - არა. აღნიშნული კითხვარი შეავსეს ფაკულტეტის თანამშრომლებმა, რაც უნდა გადაეცეს პერსონალის მართვის დეპარტამენტს. პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ კითხვარი შეავსო 23 აკადემიურმა პერსონალმა და 53-მა მოწვეულმა მასწავლებელმა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კითხვარების ზედაპირული ანალიზიდაც ცხადად ჩანს სასწავლო კომპონენტში ყველა პროფესორის

ჭარბი დატვირთვა. ხოლო კვლევით კომპონენტი ასეთივე წარმატებით არ ხორციელდება და კვლავ ფაკულტეტის სუსტ ადგილად რჩება.

აზრი გამოთქვეს:

ასოცირებულმა პროფესორმა ლუიზა არუთინოვამ აღნიშნა, რომ ასეთი მწირი რესურსებით შეუძ□ებელია, რომ განვითარდეს კვლევითი კომპონენტი. პროფესორმა ლ. სურმანიძემ და ასოც. პროფესორმა ე. ფირცხალავამ აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია პროფესორების კვლევითი პროექტიების მინიმალური ფინანსური მხარდაჭერა მაინც და აუცილებელია ფინანსების მოძიება.

კენჭი უყარეს წინადადებას: მიღებულ იქნას ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა თვით-შეფასების შედეგები.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიღებულ იქნას ფაკულეტეტის პროფესორ-მასწავლებელთა თვითშეფასების შედეგები და გადაეცეს პერსონალის მართვის დეპარტამენტს. კვლევითი აქტივობის წახალისება დაკავშირებულია ფინანსებთან, რაც საერთო საუნივერსიტეტო პრობლემაა. კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით მოძიებულ იქნას დამატებითი ფინანსები.

2. ერაზმუსის კომისიების შერჩევის საკითხი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ უნდა შეირჩეს ერაზმუსის მობილობით სტუდენტთა შესარცევ კომისიაში ფაკულტეტის წარმომადგენლები. მისი, აზრით კარგი იქნება, რომ ფაკულტეტის ყველა ინსტიტუტმა წარმოადგინოს თავისი სია და ფაკულტეტი შეძლებს შეარჩიოს და წარადგინოს კომისიაში თავისი წევრები. აქვე აღინიშნა, რომ მანაწილეობა შეუძლია ყველა აკადემიურ პერსონალს. შეთავაზებული წინადადება მისაღები აღმოჩნდა საბჭოს წევრებისათვი.

კენჭი უყარეს წინადადებას: ფაკულტეტის ყველა ინსტიტუტმა წარმოადგინოს თავიანთი წარმომადგენლების სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ერაზმუსის მობილობის სტუდენტთა შესარჩევ კომისიაში.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. **დოქტორანტების ა. ტიკარაძის და თ. გველესიანის დაცვის კომისიებისა და დისერტაციის შემფასებლების დამტკიცება;**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს მოახსენა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ დოქტორანტ **ანა ტიკარაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებისა და დაცვის კომისიის დამტკიცების საკითხი (თემის სათაური: „ბედნიერების სუბიექტური აღქმა და მისი კავშირი სამუშაოს შესრულებასთან,“ სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე). ასოც. პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს წევრებს გააცნო შემფასებლების ვინაობა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა. საბჭოს წევრებს არ გამოუთქვამთ აზრი და აღნიშნულ საკითხს კენჭი უყარეს ერთხმად.

კენჭი უყარეს ანა ტიკარაძის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებისა და დაცვის კომისიის დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნას ანა ტიკარაძის სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენილი შემფასებლები და დაცვის კომისია.

შემფასებლები:

1. დალი ფარჯანაძე - თსუ მოწვეული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

2. ხათუნა მარწყვიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
3. უცხოელი რეცენზენტი: Martin Edwards, PHD; Kings college, London

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. **თამარ გაგოშიძე** - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
2. **მაია რობაქიძე** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
3. **გიორგი გოროშიძე** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
4. **სოფიო დოლიძე** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
5. **თამარ აბაშიძე** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
6. **ირინა ჟვანია** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
7. **რუსუდან ციცქიშვილი** - პროფესორი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტი.

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანია საბჭოს მოახსენა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის" დოქტორანტ **თეა გველესიანის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებისაბისა და დაცვის კომისიის დამტკიცების საკითხი (თემის სათაური: „პიროვნული და ორგანიზაციული ფაქტორების გავლენა ემოციური შრომის შედეგებზე მომსახურების სფეროში", სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე). ასოც. პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს წევრებს გააცნო შემფასებლების ვინაობა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა. საბჭოს წევრებს არ გამოუთქვამთ აზრი და აღნიშნულ საკითხს კენჭი უყარეს ერთხმად.

კენჭი უყარეს თეა გველესიანის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებისა და დაცვის კომისიის დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნას თეა გველესიანის სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენილი შემფასებლები და დაცვის კომისია.

შემფასებლები:

1. თამარ აბაშიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
2. რევაზ ჯორბენაძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
3. უცხოელი რეცენზენტი: ლიინა რენდმენი (liina Randmann), ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინდუსტრიული ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. **მაია რობაქიძე** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
2. **გიორგი გოროშიძე** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
3. **სოფიო დოლიძე** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
4. **ხათუნა მარწყვიშვილი** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
5. **ირინა ჟვანია** - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
6. **მაია კალნდარიშვილი** - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმონდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
7. **რუსუდან ციცქიშვილი** - პროფესორი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტი

4. დოქტორანტ ნ . აბულაძის სადისერტაციო თემის სათაურის დამტკიცება

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანია საბჭოს მოახსენა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის - „პოზიტიური ფსიქოლოგია - ემპირიული კვლევები“ დოქტორანტის ნინო აბულაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაურის შეცვლის შესახებ. დამტკიცებული იყო პირობითი სახელწოდება - „დროის პერსპექტივის ორიენტაციის მიმართება ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასა და სტრესულ გამოცდილებასთან" და ახლა უნდა შეიცვალოს ახალი სათაურით - **„Flow“- ს როლი ონლაინ**

აზარტული თამაშების მიმართ დამოკიდებულების ფორმირებაში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ლ. სურმანიძემ, ასოც. პროფესორმა ხ. მარწყვიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ ტერმინ Flow-ს შესატყვისი ცნების მოძიება ქართულ ენაზე სასარგებლო იქნებოდა, თუმცა ჯერ-ჯერობით ადეკვატური ტერმინი ვერ მოიძნება. ამ ეტაპზე ფიქრობენ ტერმინებზე „ჩაფვლა“, „ჩაძირვა“, მაგრამ გასათვალისწინებელია ორიგინალური ტერმინის ნიუანსები. ამიტომ დარჩეს ბრჭყალებში ინგლისური ტერმინი.

კენჭი უყარეს დოქტორანტ ნინო აბულაძის სადისერტაციო ნაშრომის ახალი სათაურის დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

დოქტორანტ ნინო აბულაძის სადისერტაციო ნაშრომის ახალი სათაური - „Flow“- ს როლი ონლაინ აზარტული თამაშების მიმართ დამოკიდებულების ფორმირებაში“.

5. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცება

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტის საბჭოზე მიღებული დოქტორნატურის დებულება განიხილა იურიდიულმა დეპარტამენტმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა. დებულება ვიზირებულია დეპარტამენტების მიერ მათი შენიშვნების გათვალისწინებით. ამჟამად ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოდგენილია საბოლოო ვარიანტი.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ლ. სურმანიძემ აღნიშნა, რომ გათვალისწინებულია იურიდიული დეპარტამენტის შენიშვნები, შემოწმდა და გასწორდა ფაკულტეტის მიერ დამატებული დანართების ნუმერაცია. ასოც. პროფ. თ.

აბაშიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია გარე შემფასებლის მიერ ექსპერტიზის წარმოდგენის ვადების, ასევე უარყოფითი ექსპერტიზის შემთხვევაში დარგობრივი კომისიის მიერ ექსპერტიზის შედეგების განხილვის ვადის დაზუსტება მე-9 მუხლში. კერძოდ შემფასებელს მიეცეს 2 კვირის ვადა, ხოლო დარგობრივი კომისიას კი 5 სამუშაო დღის ფარგლებში ექსპერტიზის შედეგების განხილვის ვადა, უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში.

კენჭი უყარეს წინადადებას: ჩაემატოს ექსპერტიზის წარმოდგენისა და განხილვის შემოთავაზებული დაზუსტებული ვადები მე-9 მუხლში და მიღებულ იქნას დოქტორანტურის დებულება.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

5.1. ჩაემატოს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორნატურის დებულების მე-9 მუხლის ბ) და ე) პუნქტებში ჩაემატოს 2 კვირის ვადა, ხოლო ვ) პუნქტში - 5 სამუშაო დღის ვადა.

5.2. მიღებულ იქნას ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორნატურის დებულება და გადაეცეს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

6. იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნების დაჯილდოების საკითხი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ მნიშვნელოვანია პროფესორთა წახალისება იმ მიზნით, რომ მათ იზრუნონ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნებაზე. თსუ-ის და ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურება და ხელშეწყობა. შესაბამისად ფაკულტეტმა მისი შესაძლებლობების ფარგლებში აუცილებლად უნდა იზრუნოს პროფესორების კვლევითი აქტივობისა და იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების სტიმულირებაზე. ამისათვის მისი აზრით, კარგი იქნება, რომ დაწესდეს ჯილდო - ერთი სტატიის გამოქვეყნება 2500 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ აღნიშნა, რომ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნება ძალიან რთულია ფსიქოლოგიისა და სოციალური მეცნირებების წარმომადგენელთათვის. ამიტომ, მისი აზრით, არ იქნება სამართლიანი, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები ერთნაირად იყოს გაწერილი მაგალითად, ფსიქოლოგიისა და საბუნებისმეტყველო დარგების წარმომადგენელთათვის. ასოც. პროფესორმა ა. ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია პროფესორების კვლევითი საქმიანობის მოტივირება იმ პირობებში, რომ ვერ ხერხდება მათი კვლევების მინიმალურად დაფინანსება, ვერც ხელფასის მომატება.

კენჭი უყარეს წინადადებას: იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის დაწესდეს ჯილდო - ერთი სტატიის გამოქვეყნება 2500 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან და წინადადება წარედგინოს ადმინისტრაციას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც გამოაქვეყნებს პუბლიკაციას იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში მიიღებს/მიიღებენ 2500 ლარის (დარიცხული) ოდენობის ანაზღაურებას.

7. **კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების დამდგენელი კომისიის ანგარიშის მოსმენა (კომისიის კოორდინატორი, გ. გოროშიძე)**

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ასევე, განიხილეს კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების **საბოლოო ვერსიის შემუშავების საკითხი.** საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ კომისიამ უნდა დაასრულოს შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და უნდა მიიღონ საბოლოო ვერსია.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ლ. სურმანიძემ აღნიშნა, რომ კომისიას ჯერ ფაკულტეტისათვის არ მოუწოდებია შერჩევის კრიტერიუმების საბოლოო ვერსია და მისი აზრით, კომისიამ მუშაობის ფორმატი უნდა შეცვალოს. აქვე

კომისიის წევრმა ირინე ჟვანია აღნიშნა, რომ მათ მიერ შემუშავებული იქნა შერჩევის კრიტერიუმების დოკუმენტი, რომელიც გაფართოებულ მსჯელობას საჭიროებდა. რასთან დაკავშირებითაც ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გოროშიძემ უკმაყოფილება გამოთქვა და კომისიის წევრი ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია დაადანაშაულა თვითნებურ ქმედებაში. მან აღნიშნა, რომ საბოლოო ვერსია, რომელიც გადაგზავნილი იყო ფაკულტეტისათვის მისგან დამოუკიდებლად გადაიგზავნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კომისია დაკომპლექტდეს თავიდან , გაიწეროს კომისიის მუშაობის პროცედურები.

კენჭი უყარეს წინადადებას: კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების შემმუშავებლი კომისია თავიდან იქნას არჩეული.

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

დაადგინეს:

კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების შემმუშავებლი კომისიის თავიდან დაკომპლექტება.

კენჭი უყარეს წინადადებას: შემუშავდეს კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების შემმუშავებლი კომისიის მუშაობის პროცედურების არჩეული კომისიის მიერ.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

გაიწეროს კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების შემმუშავებელი კომისიის მუშაობის პროცედურები.

ფაკულტეტის საბჭოზე შემდეგ დააყენეს კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების შემმუშავებელი კომისიის დაკომპლექტების საკითხი. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ თამარ გაგოშიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ თავიანთი სურვილით წარედგინათ კანდიდატურები. განხილვისა და მსჯელობის შემდეგ წარადგინეს და კენჭი უყარეს:

1. ასოცირებული პროფესორი გიორგი გოროშიძე

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 3

თავი შეიკავა: 0

2. ასოცირებული პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. ასოცირებული პროფესორი ლუიზა არუთინოვა

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 1

თავი შეიკავა: 0

4. ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

5. ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

6. ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 1

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმების შემმუშავებელი კომისიის ახალი შემადგენლობა - ასოცირებული პროფესორები: გიორგი გოროშიძე, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვა, ზაქარია ქიტიაშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა.

8. დოქტორანტის ქ. ხუსკივაძის სადისერტაციო ნაშრომის რედაქტირებული სათაურის დამტკიცება - „ესპანური ენის სწავლების საკითხები უმაღლეს სკოლაში (თსუ-ს მაგალითზე)“

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანია საბჭოს მოახსენა შემდეგი საკითხი, რომელიც ეხებოდა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის სადოქტორო პროგრამის - „განათლების მეცნიერებები“ - დოქტორანტის ქეთევან ხუსკივაძის სადისერტაციო ნაშრომის რედაქტირებული სათაურის - **„ესპანური ენის სწავლების საკითხები უმაღლეს სკოლაში (თსუ-ს მაგალითზე)“** - დამტკიცებას“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი, თსუ პროფესორი ქეთევან ჭკუასელი).

კენჭი უყარეს დოქტორანტის ქ. ხუსკივაძის სადისერტაციო ნაშრომის რედაქტირებული სათაურის დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს დოქტორანტის ქ. ხუსკივაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური - „ესპანური ენის სწავლების საკითხები უმაღლეს სკოლაში (თსუ-ს მაგალითზე)“.

9. ასოც. პროფესორის გ. გოროშიძის მიერ განსახილველად წარმოდგენილი საკითხები

ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საკუთარი ინიციატივით მოხსნა განსახილველი საკითხები დღის წესრიგიდან.

10. სხვა:

დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა საკონკურსო საბუთების მიღების პროცედურა.

ასოც. პროფესორმა ხათუნა მარწყვიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დააყენა საკითხი, რომელიც ეხება დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა მიერ საბუთების შემოტანის პროცედურის გამარტივებას. მან აღნიშნა, რომ უნდა შევიდეს ცვლილება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის მეათე მუხლში და ნაცვლად ტექსტისა ,,კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები", ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით; „კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში (დოქტორანტურის საფეხურის სპეციალისტთან) უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები"

საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში (დოქტორანტურის საფეხურის სპეციალისტთან) უნდა წარმოადგინოს საბუთები.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია